საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება №1-1/54

2025 წლის 26 ივნისი

ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში (შეკვეთილი) მდებარე 11 651 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 26.01.45.1032) სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე და 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის № 260 დადგენილებისა და ,,ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 590 დადგენილების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში (შეკვეთილი) მდებარე 11 651 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 26.01.45.1032) სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა“ (დანართი №1).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი **ზურაბი წიკლაური**